# სამშობლო

წ. I 1915 წ. ოთხშაბათი 11 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. დილის 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 32 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 32


"სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

## „სამშობლო"

ყოველკვირეულის სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.


ოლღა თომა ცინცაძის ასული კვიჟინაძისა, იაკობ თომას ძე, ბარბარე გიორგის ასული, ხოლიკო, ნინა და პეკა ცინცაძენი გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ ცხრა ამ თვეს უეცრად გარდაიცვალა—პირველის დაუვიწყარი მეუღლე, ხოლო დანარჩენების მოამაგე სიძე—გორის მაზრის, სოფელ ტყვიავის მღვდელი

**ისიდორე ივანეს ძე კვიჟინაძე.**

გამოუთქმელი მწუხარებით დამწვარნი მშობლები სტეფანე და მარიამი, მეუღლე ვერა, დები: ფილომინე, თამარა, ანა, ბარბარე, ძმა დავითი ფეიქრიშვილები და მამიდა ელისაბედ ქურთოშვილისა აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გადაცვალებას ქ. ფეოდოსიაში 6 მარტს

**პავლე სტეფანეს ძის ფეიქრიშვილისას.**

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 14 ამ თვეს, დილის 9 საათზე, ქუთაისის რ. კათოლიკეთა ეკლესიაში.

3—2—93

ბესარიონ მახარობელისძე აბდალაძე, შვილები: მელიტონ, ალექსანდრე, და მართა (ბათურა) აბდალაძის ასული გიორგაძისა, სიძე ივანე ბეჟანის ძე გიორგაძე და რძალი ნადია კინტუანის ასული აბდალაძისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი მეუღლის, მეორენი უსაყვარლესი დედის, მესამე სიდედრისა, ხოლო უკანასკნელი დედამთილისა

**ედუსი გრიგოლ ნიკოლაიშვილის ასულის აბდალაძისას,**

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, რუბანის ქუჩ. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 12 მარტს, ნაშუადღევს 4 საათზე.

3—2—94.


დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ ნ. ს. ჯორჯიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права"

Проф. Л. I. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

**ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)**

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, ტფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.

ქუთაისი, გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. **მოსკოვის ფირმის** ქუთაისი, გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა **„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი"-ს**

სამანიფაქტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბრეშუმეულობა,
შალეულობა,
ბამბეულობა
და ბამბაზეულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კასტიუმებისათვის:

„ხავერდი—შიფონი" „კრეპ—აბრეტინი" და „კოტლე—ნოველი" მანტოსათვის:

„შაი—რენე" და „შაი—შიკ."

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაქტურის ნაწარმოები.

ფასები შეზღუდულათ თ.

**ქალაქის თეატრი**

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ხუთშაბათს, 12 მარტს, წარმოდგ. იქნება ი. გედევანიშვილის ორიგინალური პიესა

1. **გამცემი**

დრამა 3 მოქმედ.

ი. გომართლის ორიგინალური კომედია

2. **დრამატიული საზ. გამგეობის წევრი**

2 მოქმედებად.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე — რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ა ნ ო ნ ს ი: ჰამლეტი, ყაჩაღები, იუდა ისკარიოტელი, ოიდიპოს მეფე, დაძირული ზარი.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

**ძმათა პასხალიდის**

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში; ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

**კბილის მენალარიშრილი და ტრუფაექიმები.** ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**საჭიროა 2 ან 3 ოთახი ელექტრონით და მოწყობილობით.** იკითხეთ ექიმი მულინი, სასტუმრო ფრანციაში. 2—2


## პეტროგრადი.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

8 ამ თვეს ყაზანის სობოროში მეორეთ გადაიხადეს პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლათ. წირვა შესრულებულ იქნა ქართულ ენაზე ეპისკოპოზ ლეონიდის მიერ, საეკლესიო გალობაც ქართულ ენაზე იყო. პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ამ დღესვე საღამოს ქალაქის საბჭოში წაკითხული იყო ფრიად საინტერესო მოხსენებანი კავკასიაზე, რომელზედაც დაესწრო დიდძალი საზოგადოება როგორც ქართველებისა, ისე რუსებისა და სომხებისაც. თავჯდომარეობდა გრაფი ი. ტოლსტოი (პეტროგრადის ქალაქის თავი) კრების დაწყებისას ი. ტოლსტოიმ განუცხადა საზოგადოებას აკაკის სიკვდილი და მოუწოდა სცეს პატივი მის ხსოვნას ფეხზე ადგომით. პირველი მოხსენება იყო ფ. როდიჩევისა: „კავკასიის საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხები", რომელშიაც, უმთავრესად, ქართველ ერს ეხებოდა. როდიჩევმა აღნიშნა, რომ ეხლანდელი, თანამედროვე კავკასიური საზოგადოებრივი ცხოვრება თანდათან მრეწველობის ხასიათს იღებს, რაც თანდათანობით ბადებს სხვა და სხვა საკითხებს. ასი წლის წინედ საქართველო თავის სურვილით სამებრ შემოუერთდა რუსეთს, რომლისგანაც ელოდება კულტურული ცხოვრების დამყარებას. ეხლანდელი სურათი საქართველოსი კი წარმოადგენს უნუგეშო სურათს: საყველგან სილატაკე, ხალხი მიუხედავათ ბუნებრივი, უხვი სიმდიდრისა ღარიბათ სცხოვრობს. ამ ოდესმე დამოუკიდებელ ერს უნდა მიენიჭოს კულტურა, და სამართლიანობა. ეს უწმიდესი ვალია რუსეთისა საქართველოს წინაშე; უნდა შეიცვალოს ურთიერთობა კავკასიასთან, უნდა შეიქნეს ახალი ცხოვრების ახალი პირობები, დამყარებული უფლებაზე. ამ საერთაშორისო ომმა წამოაყენა სხვა და სხვა საგულისხმო საკითხები და ორატორი იმედს იძლევა, რომ მის გათავების შემდეგ სახელმწიფო ცხოვრებისა და მასთან ერთად კავკასიის საზოგადოებრივი საკითხები იქნება განხორციელებული. ის ერი, რომელიც მეოთხე საუკუნეში აღიარებდა ქრისტიანობას და თავის სამშობლო ენაზე ისმენდა სახარებას, როდესაც თავისი კულტურა, თავის სწავლა-განათლება ქონდა, მაშინ, როდესაც რუსეთი რაღაც დაულაგებელ, უფორმო მასას წარმოადგენდა—ამ ერის მოსპობა და დაჩაგვრა შეუძლებელია.

(ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელ საზოგადოებაზე). —ნაციონალური სიმდიდრე ვრცელდება და იზრდება კულტურის მიხედვით, ბუნებრივი სიმდიდრე კი, რომელიც ბევრი არის კავკასიაში,—მკვდარ კაპიტალს წარმოადგენს. აქედან წარმოსდგება სილატაკე და უმეცრება. თანამედროვე კავკასიის სხვა და სხვა ერების საზოგადოებამ შეიგნო თავიანთი ნაციონალური მოთხოვნილებანი. ამიტომ, დროა რუსის საზოგადოებამ აღარ ილაპარაკოს რაღაც სეპარატიზმზე, დროა დაარსდეს კავკასიის უნივერსიტეტი,

დეე, ამ მსხვერპლმა, რომელიც მიაქვთ მათ ამ განმათავისუფლებელ ომში, ფუჭად არ ჩაიაროს და ამ მომავალ კულტურულ მუშაობაში შეერთდება და გაქარწყლდება ის შური, რომელიც გამეფებულია ეხლა კავკასიის ერების შორის.

როდიჩევის შემდეგ ილაპარაკა მილიუკოვმა, რასაკვირველია სომხებზე, კიდევ ილაპარაკეს პრივატ-დოცენტმა სპერანსკიმ (გრ. ლორის-მელიქოვის შესახებ). და დერჟავინმა (კავკასიის უნივერსიტეტზე და სხ.

## ნარკვევი.

იმ აღმაშფოთებელ დეპეშის შესახებ, რომელიც ქვეყანას მოსდო პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ ჟურნ. „კლდე" სწერს:

ხელთვრუნად იმ უნდობლობისა და ყოვლდივე შექმნილს თავმოყვარეობის ამხედრებისა მოსვლის შემდეგ, რომელიც დამყარდა ჩვენს გარშემო, ჩვენთვის ასეთი დეპეშა მოულოდნელი არ არის. პირიქით, იგი დაგვირგვინებაა იმ მისწრაფებისა, რომელიც დაიწყო ცნობილი დეპეშით კონსტანტინეპოლიდან „ჩოხიან და ხანჯლიან ქართველების" შესახებ, დღემდის არ შეწყვეტილა, ხოლო დღეს მოაღწია უმწვერვალეს წერტილს, რომლის იქით გასავალი, გვგონებთ, აღარსაით აქვს!..

თვითონ სააგენტოს ცნობას ჩვენთვის

# დღეს რა მოხდა.

**პედემიშლეს ციხე-სიმაგრე რუსის ჯარმა დაიკავა.**

ტაუროგენის რაიონში რუსის ჯარმა ბრძოლით ლაუკზერგენი დაიჭირა.

კარპატებში დიდი ბრძოლა სწარმოებს.

მდ. ზემო სანის მარცხენა ნაპირზე რუსის ჯარი ბრძოლით წინ მიიწევს.

დღე ღამის განმავლობაში ხელში ჩაიგდეს 2500 გერმანელი ჯარის კაცი და 50 აფიცერი.

მუნკაჩის გზით გერმანელების ჯგუფათ მოაქვს ერიშები.

კაზიუვკასთან და ძირახოჩთან გერმანელების იერიშები ყველა მოგერებულ იქნა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

გერმანელები სუასონის ტაძარზე ყუმბარების დაშენას განაგრძობენ.

მენილთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

პარიზის თავზე გერმანელების ოთხი ცეპელინი გამოჩნდა, რომელთაც 12 ყუმბარა ისროლეს სხვადასხვა ადგილას, ზარალი მცირეა.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

ურმიიდან იტყობინებიან, ოსმალეთის ელჩი რახიბა ასკერებით ამერიკის საელჩოს დაეცა.

ავსტრიელები ბოსნიიდან და გერცოგოვინიდან სერბიელ მცხოვრებლებს ერეკებიან.

ჩერნოგორელების პოზიციებს ყუმბარები დაუშინეს.

ავსტრიელების ჰაეროპლანები გრახოვს ყუმბარებს ესვრიან.

---

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან გერმანელების იმედით და ცნობით, რუსეთის რევოლიუციის ცეცხლი სწვავს, პოლონეთს, მოლდორთსებს და სხ. საკუთარი მეფე უზით. ამ მხრივ მას არავითარი შელახვა არ შეუძლიან იმ წმინდა მსხვერპლისა, რომელსაც საქართველო ეწევა რუსეთის წინაშე და სრულიად უმნიშვნელოც არის. სამნიშვნელოა იმ მხრივ, რა მნიშვნელობასაც აძლევენ მას ჩვენს ახლო გარშემო არსნი, როდესაც მას „დოკუმენტის" სახელით ათავსებენ პერიოდულ გამოცემებში. აქ კი ბრალი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გვედება, ჩვენ, რომელთაც ალბათ ვერ შევძელით ჩვენ წმინდა მოქმედებისათვის შესაფერი ატმოსფერა შეგვექმნა და ჩვენი ერთგულებისა და სამსახურისათვის რუსეთის წინაშე ღირსეული პატივისცემა მოგვეპოვა და ყველა ეჭვს არ უნდა ჰქონოდა უფლება ჩვენი აბუჩად აგდებისა, ჩვენი თავმოყვარეობის წეწვისა და მით, ამ საერთო პატრიოტულ აღფრთოვანების დროს, სახელმწიფოს წინაშე დანაშაულობის ჩადენისაც.

——

„Кав. Сл."-კი არც მწვადსა სწვავს და არც შამფურს:

„ვინც ცოტათი მაინც იცნობს კავკასიის ხალხთა ცხოვრებას, ყველამ იცის, რომ არავითარი კომიტეტი არ არსებობს, არც ოდესმე ყოფილა და იმ ცნობას, რომელიც ევროპისა და აზიის რუსეთის ყველა დიდმა და პატარა ქალაქებმა დაბეჭდეს, საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს. თვით ისინიც-კი, რომელნიც სრულიად არ იცნობენ კავკასიას ამ ცნობას ქართველებზე ცილის წამებათ მიიჩნევენ. მაშინ, როდესაც ცენზურა ნებას არ იძლევა კავკასიაში მცხოვრებ ერთა შორის დამოკიდებულებაზე მსჯელობა ვიქონიოთ გაზეთებში, უცენზურო დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს იმისთანა ცნობას, რომელიც ყველა გონიერ ადამიანს ააშფოთებს. ეჭვი არ გვაქვს, როგორც სააგენტო აცხადებს „შემთხვევით ხელთ იგდეს რაღაც საბუთი", გვჯერა, რომ ეს საბუთი ემისარებმა გაგზავნა კონსტანტინოპოლს საელჩოში, შეიძლება გერმანიის ემისარი შეხვდა კიდეც რომელიმე ჯგუფს გზაზე მიმავალს საქართველოდან, რომელთაც მიითვისეს წოდება „ქართულ ნაციონალურ კომიტეტისა" მაგრამ ისიც ცხადია, რომ 100,000 ქართველი მეომარი დღეს სისხლსა ღვრის რუსეთთან ერთად ბრძოლის ველზე. ვიცით, რომ ქართველმა გენერლებმა თავი ისახელეს სარაყამიშის და ყარაურღანის ბრძოლაში. ვიცით, რომ არსებობს ქართული თავისუფალი დრუჟინა, რომელიც უკვე გვერდით ამოუდგა მოწინავე პოზიციებზე მებრძოლ რაზმებს და ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია ამგვარი ცრუ ცნობების გავრცელება იმ ადგილებში, სადაც ყველა ეს დაწვრილებით არ იციან. განა ცოტა წერილები უვარდებათ ხელში? რას არ დასწერს ზნედაცემული ადამიანი, რომელიც მზაა გაჰყიდოს ძმა და თვით თავი თვისი?! მაგრამ განა ასეთ დროს შეიძლება მისი გამოქვეყნება? თუ ეს მართალია დღე, ვისიც ჯერ არს ამ გარემოებას იმათ მიაქციონ ყურადღება! დამნაშავეს მოექცნენ ისე, როგორც შეფერის დროსა და დანაშაულს, მაგრამ რა საჭიროა ცილის წამება მთელი ხალხისა, მთელი ერისა, მაშინ, როდესაც ყველაფერზე ლაპარაკი ძალიან ძნელია"...

ცოტა არ იყოს ორჭოფობის სუნი ასდის ამ სარჩლს!..

——

ებრაელთა ჟურნალი „ნოვი ვოსხოდი" **ვარლამ გელოვანის** შესახებ სწერს.

„ბედნიერებს მტრები ეხოცებათ, უბედურები-კი მეგობრებს ჰკარგავენ.

ჯერ სამი კვირა არ გასულა მას შემდეგ, რაც გერმანიის საზღვარზე მოკლულ იქმნა ა. მ. კოლიუბაკინი, და შეუბრალებელმა სიკვდილმა ჩვენი მეგობლების რიცხვს მოსწყვიტა ახალი მსხვერპლი.

კავკასიის ომის ასპარეზზე, შავი სახადით გარდაიცვალა, სანიტარული ჯგუფის მთავარ რწმუნებული დეპუტატი თავადი ვარლამ ლევანის ძე გელოვანი.

გელოვანსა და კოლიუბაკინს შორის ბევრი რამ იყო საერთო. ორივე ხალხის წარმომადგენელი იყო, ორივე ერთად წავიდა თავის ნებით ომში, ერთი ომობდა და მეორე-კი დაჭრილ მეომრებს უვლიდა და მათთვის ზრუნავდა; ორივენი დაიხოცენ გმირული სიკვდილით.

მათ აახლოვებდათ კიდევ ერთი რამ: ორივენი იყვნენ გულახდილი და თავდადებული მეგობრები ებრაელებისა.

ებრაელების სიყვარული მათ მარტო გულში კი არ ჰქონდათ ჩამარხული, არამედ ისინი იცავდენ ებრაელთა ინტერესებს ყველგან და ყოველთვის, როდესაც კი ამას შემთხვევა მოიტანდა.

შთამამავლობით ქართველი, შვილი ბრწყინვალე თავადიშვილთა გვარისა, თავადი ვარლამ გელოვანი იყო ჭეშმარიტი დემოკრატი არა მარტო იმიტომ, რომ ოფიციალურათ იგი ეკუთნოდა სათათბიროს „შრომის ჯგუფს" და პარტიულათ ქართველ ფედერალისტებს, არამედ იგი იყო დემოკრატი ბუნებით, მისთვის არ არსებობდა და არც ელლინი და არც იუდეილი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ვარლამ გელოვანი ჯერ სულ ახალგაზდა,--37 წლისა იყო".

## გაკვრით.

(ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის საყურადღებოთ).

გაზაფხულს, წლის ულამაზეს დროს, გულისფანცქალით მოელის შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა.

უმთავრესად ამ დროს იკიდებს ხოლმე ფეხს სხვადასხვა გადამდები სენი. წრეულს კი ეს მოვლენა სხვა წლებთან შედარებით უფრო დამაფიქრებელი და საშიშია.

გადამდები სენი უკვე ბევრს ადგილას მძვინვარებს და აფართოებს თავის სამოქმედო ასპარეზს.

ახლა მეტია ბაასი იმაზე, თუ რამდენი რამ აკლია სანიტარულის მხრით ქუთაისს. ამას ვერავინ ვერა ჰყოფს უარს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ ბედნიერ მოლოდინში დიდი დრო გავა, და მანამდე ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, ის მაინც ავიცდინოთ თავიდან, რის აცილებაც ჩვენ ხელთ არის.

ყველას მოეხსენება რომ გადამდებ სენთა გავრცელებაში უპირველესი ადგილი უჭირავს წყალის უსუფთაობას და მწერებისა, ბუზებისა და კოღოების გამრავლებას.

ამ მცირე წერილით მსურს ქალაქის საბჭოს ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, თუ რანაირის ენერგიით ემსახურებიან ამ მავნებელ საქმის განხორციელებას, ქალაქის შუაგულ ადგილში.

წითელ ხიდთან, „პოდგორნი"-ს ქუჩის დასაწყისში ჩამწკრივებულია ორივე მხარეს სახელოსნოები, სადაც ამზადებენ კეხებს, უნაგირებს, თასმებს, ქამრებს და სხ. ამისათვის ისინი ხმარობენ საქონლის ტყავს, და უბედურებაც სწორედ იმ პირობებშია, რომელშიაც ისინი ამ ტყავეულობას ამზადებენ.

დამპალი, გასისხლიანებული ტყავები ჩააქვთ იქვე, წითელი ხიდის ქვეშ, იქ ჰყრიან რიონში, ალბობენ, სრესენ ფეხითა და ჯოხით, ავლებენ და რეცხენ წყალში. თვალითაც რომ არ ნახოთ ეს უწმინდურება, ისედაც წარმოიდგენთ თუ რამდენი სიბინძურე ერთვის ამ დროს რიონს, რამდენი დამპალი სისხლი, ყლარტი, ჰუჰყი და ბალანი სცილდება ამ ტყავეულობას, მიაქვს მდინარეს და ვინ იცის ვის რა ზიანსა და სნებას შეჰყრის ასეთი ნაწუმპარი. შემდეგ ამგვარად გარეცხილი ტყავები გამოაქვთ ქუჩის პირას სკამებზე ან დასვრეტილ გობებზე დაყრილი, რომ წყლისგან დაიწრიტოს და შეშრალდეს.

აყროლებული ტყავის სუნი და ნაწვეთი სიბინძურე იზიდავს მწერებს, ჩნდება აუარებელი კოლო-ბუზი, რომლებიც ჯერ ლეშის სიმყრალით გაიბერებიან და შემდეგ მცხოვრებთა ბინას მიაშურებენ.

მობინადრეთ ზაფხულში აქ შიშით ფანჯრები ვერ გაგვიღია. მთელი სახლი გაივსება ხოლმე ამ მაბეზარი და მავნე მწერებით. ვთხოვთ ქალაქის გამგეობას შესაფერ ზომასა და ყურადღებას. ვსთხოვთ გამგეობას სასანიტარო კომისიასთან ერთად სასტიკად აუკრძალოს ამ მოხელეებს:

**პირველი**—ტყავების [illegible] წითელ ხიდთან.

**მეორე**—მათი იმ წესით გაშრობა და გახმობა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ.

ეს ბინძური ოპერაცია სადმე შორს, ქალაქის განაპირას უნდა კეთდებოდეს, საიდანაც მხოლოდ გამშრალი ტყავი უნდა შემოჰქონდეთ.

თუ კი სასაკლაო ქალაქის გარე არის, ქალაქის კეთილდღეობისათვის აგებული, რათ უნდა მიეცეს ვისმეს ნება, რომ იქიდან წამოათრიოს დამპალი ტყავი და ქალაქის შუაგულ ადგილას მოსწამლოს წყალი და ჰაერი.

ეს ბატონები ბოროტებაა, რომლის ალაგმაც თქვენ ადვილად შეგიძლიათ, თუ მოისურვებთ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოისურვებთ და სათანადო ზომებსაც მიიღებთ.

**ჯაფარ-ფაშა.**

---

## ქუთაისურ ქართველ ქალების

საყურადღებოთ.

„ჩვენ, ქართველი ქალის შესახებ არაოდეს სერიოზულად არ ვლაპარაკობთ—უმეტეს შემთხვევაში ვლაზღანდარობთო". უჩიოდა არჩილი ერთ თავის მეგობარს, როდესაც ისინი ტრამვაიდან გადმოხტენ და ქალის შესახებ კამათი დაიწყეს. და, მართლაც, თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ერთ წრეს, ვერც ერთ საზოგადოებას, ვერც ერთ დაწესებულებას, რომ დღევანდელი ქალის საჭირბოროტო საკითხზე, რაიმე სერიოზული მუსაიფი ჩამოეგდოთ ხოლმე და მათ კეთილდღეობაზე ეზრუნათ. და მერე ვინ არის ამაში დამნაშავე? ნუთუ იგივე საზოგადოება? არა და არა! ამაში დამნაშავენი გამოვდივართ თვითონ ჩვენ, ქალები, ვინაიდან ჩვენ სრულიად არ ვაძლევთ მაგალითს საზოგადოებას რაიმე აქტიურ მოქმედებისას, რაიმე საზოგადოებრივობისას.

აბა რას წარმოადგენს, თუ არ ასეთ რასმე ის მაგალითი, რომ აგერ რამდენიმეჯერ გაიმართა ქალთა კრებები ფრიად საყურადღებო საკითხებზე და თითქმის უმნიშვნელო ნაწილი ქალებისა დაესწრო ხოლმე. და განა ჩვენი შეკრება, მარტო იმისთვის ხდება, რომ დამსწრე ქალები გულ-ხელ დაკრეფილი დაჯდენ და უსმინონ იმას, თუ რას იტყვის თავმჯდომარე, ან და მისი თანაშემწე, ან და ვინმე ერთი ორი პირი და სრულიად არ რაცხენ თავს ვალდებულათ თვითონაც რაიმე ნაწილი შეიტანონ ამ თითო ოროლა პირისაგან წარმოთქმული აზრის აწონ-დაწონ-

---

# აზრის თავისუფლება და დემოკრატია.

აზრის თავისუფლება დღესაც კი არ არის სავსებით უზრუნველყოფილი. მაგრამ ის მუხრუჭი, რომელიც ხუთავდა აზრს, მეტადრე საშუალო საუკუნოებში, საშინელება იყო.

უკვე ძველ რომში იმპერიის დროის მწერლობა მონური, ქედმოხრილი და მლიქვნელი იყო, მაშინ—როდესაც რესპუბლიკის დროის მწერლობას აზრის გამბედაობა და სითამამე ახასიათებდა. და ბიზანტიის იმპერიის დროს მწერლობა კიდევ უფრო მონური იყო და აღზრდას მკაცრი, სასტიკი დისციპლინა ედო საფუძვლად.

საშუალო საუკუნეებში კი აზრის დამონებას ზედ დაემატა კიდევ ბარბაროსობა. და ბევრი მსხვერპლი შეეწირა ბრმა რწმენას, ან ფანატიზმს, რომელიც აზრის დამონებამ წარმოშვა!

გაიხსენეთ ბრძოლა პირველ ქრისტიანთა და წარმართთა შორის. გაიმარჯვეს თუ არა ქრისტიანებმა, ცეცხლსა და მახვილს მისცეს და ყველაფერი უარყვეს, რასაც წარმართული სუნი უდიოდა, მეცნიერებაცა და ხელოვნებაც. და ეს საშინელი კულტურული დაცემა წინ უძღოდა ბარბაროსთა შემოსევას.

შემდეგ ბიზანტიაში, რომელიც გადარჩა ბარბაროსთა მიერ წალეკვასა და დამონებას, ათასი წლის განმავლობაში დაუსრულებელი ომი სუფევდა სარწმუნოებრივ სექტებს შორის სიტყვითა და ხმლით. და, ასე გაშინჯეთ, როდესაც კონსტანტინეპოლის დაცემის ჟამმა დაჰკრა, მაშინაც კი არ შეუწყვეტიათ იქაურ სექტებს ამგვარი უგუნური ბრძოლა.

შემდეგ ცოტა ხანს გამოიდარა და აზრმა ფრთა შეისხა. უკვე მეცამეტე საუკუნეში დაიწყო ხანა განახლებისა. დანტემ (დაიბადა 1265 წ., გარდაიცვალა 1321 წ.) აღამაღლა ხმა, როგორც საერო, აგრეთვე სასულიერო მმართველთა წინააღმდეგ და მაშინდელი ეკლესიის ნაკლულოვანებანი და რომის პაპისა და მისი მომხრეების უკეთურებანი თავის უკვდავ ღვთიურ კომედიაში საშინელი სიტყვებით დაგმო და შეაჩვენა- და მისი ტრაქტატი მონარქიის შესახებ ნათლად გვიხატავს იმ ხანას, როდესაც მოწინავე საზოგადოება უკვე იშორებდა თავიდან თეოკრატიულ ცრუმორწმუნეობას.

საზოგადოდ დანტეს თხზულებანი აზრის თავისუფლების განსახიერებას წარმოადგენენ.

იმავე დროს მან კვლავ მოუპოვა უფლება ამქვეყნიურ სიყვარულსა და მისი სათაყვანებელი სატრფო ბეატრიჩე, მისი ღვთაება, იყო მიზეზი, მის პოეზიაში რომ ასე ღრმა, მწუხარე და ნაზი გრძნობაა დანთხეული.

ბოკკაჩიო (1313—1375 წ.) თავის „დეკამერონში" მოგვითხრობს ჩვეულებრივი სიყვარულის ამბებს, რომლებშიაც ახასიათებს გაიძვერა მოძღვრებსა და ბერებს, ხამსა და გულუბრყვილო გლეხებს, მხიარულსა და მოხერხებულ ქალებსა და მოტყუებულ ქმრებსა და სხ.

ამგვარმა ნოველლებმა კვლავ გაათავისუფლეს ადამიანის გული და სული საშუალო საუკუნეთა შემხუთველი თეოკრატიული ბორკილისაგან.

იგივე მნიშვნელობა ჰქონდა პეტრარკას (1304—1374) სონეტებსა და სტანსებს. პეტრარკამვე, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა ძველი ისტორია, გამოაქვეყნა თავის შესანიშნავ „წერილებში" და ტრაქტატებში თავისი კვლევა-ძიების აღმოჩენანი და ძველი, წარმართული ქვეყანა მკვდრეთით აღადგინა. და მისმა მიმდევრებმა მის მიმართულებას გზა გაუკვლიეს.

მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეები წარმოადგენენ ეგრედწოდებულ ჰუმანიზმის ხანას. რას შეიცავდა ეს მიმართულება? ის იყო უარყოფა პირველყოფილი ცოდვისა, რომელსაც მონასტრული ცხოვრება აღიარებდა, და პროტესტი ცალმხრივი, ასკეტიური მოძღვრების წინააღმდეგ. და მან კაცობრიობას კვლავ დაუბრუნა ამქვეყნიური სიცოცხლისა და სიხარულის უფლება. შეიძლება ითქვას, რომ თუ წინამორბედი დრო იყო კაცის ბუნებრივ უფლებათა უარყოფა,—ჰუმანიზმი, პირიქით, კაცის ხსენებულ უფლებათა აღსარებას წარმოადგენდა.

ჰუმანიზმი იტალიაში აღმოცენდა და განვითარდა უკიდურესობამდის, რადგან ეს ქვეყანა უფრო დაახლოვებული იყო ისტორიულად წარმართულ ცივილიზაციასთან. და ამ მიმართულების ნაკადული ისეთი ძლიერი იყო, რომ მეთუთხმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მმართველი წრეები და, ასე გაშინჯეთ, თვით პაპებიც კი უარყოფდენ ასკეტიზმსა და აღიარებდენ თანამედროვე საერო იდეალს.

როგორც ვიცით, სამხატვროსა და საქანდაკო ხელოვნებაში უდიდესი ჰუმანისტები იყვნენ რაფაელ სანციო (1438—1520), ლეონარდო და ვინჩი (1452—1519), მიქელ-ანჯელო (1475—1564), ტიციანი (1477—1576 წ.) და სხ. იმავე დროს ისინი მეცნიერებიც იყვნენ.

მეთუთხმეტე საუკუნიდან იწყება სისტემატიური ძიება საზღვაო გზისა ინდოეთისაკენ და საზოგადოდ დედამიწის გეოგრაფიული შესწავლა და გამოკვლევა. და უდიდესი აღმომჩენელნი: კოლუმბი, რომელმაც აღმოაჩინა ამერიკა 1492 წ., მაგელლანი, რომელმაც პირველად შემოიარა ქვეყანა, (1519—1522), ვასკო-დე-გამა, რომელმაც შემოიარა აფრიკა, ინახულა კალიკუტი და დაბრუნდა შინ (1497—1499 წ.) და სხვანი—სამხრეთელნი იყვნენ.

ამ აღმოჩენათაგან, დამტკიცდა დედამიწის სიმრგვლე და ძველ ცრუ ასტრონომიულ მხედველობას ძირი გამოეთხარა.

ამგვარად, ცხოვრებამ გაარღვია ვიწრო ეკონომიური კალაპოტი და იმავე დროს გაათავისუფლა აზრი ცრუმორწმუნეობის მუხრუჭისაგან.

რეფორმაცია დაიბადა ჩრდილოეთის ქვეყანაში, სადაც უფრო მკაცრია ჰაერიცა და ადამიანის ხასიათიც. ულმობელი, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ძველ სარწმუნოებრივ დოგმებს მარტინ ლიუტერმა. მან უარყო პაპის უფლება „ცოდვათა პატივებისა" და ამცნო ქვეყანას, რომ კაცს თვით, თავისი საკუთარი საქციელით, შეუძლია დაუახლოვდეს ღვთაებას. და მისმა გამოსვლამ შესძრა ჯერ გერმანია და შემდეგ მთელი დასავლეთი ევროპა.

აზრმა მოიშორა ბორკილი და მოიპოვა თავისუფლება. და 1521—1524 წლ. ლიუტერის მოძღვრება გერმანიიდან გადადის შვეიცარიასა და საფრანგეთში, ინგლისში, უნგრეთში, პოლონეთში, ასე გაშინჯეთ, იტალიასა და ისპანიაშიც კი.

მაგრამ ერთობ მტკიცე იყო ტრადიცია და არა თუ ძველმა სარწმუნოებამ გამოუცხადა ბრძოლა ახალს, არამედ თვით რეფორმატორებს შორისაც იჩინა თავი განხეთქილებამ, რომელსაც სარჩულად იგივე ცრუმორწმუნეობა ედვა. მაგალითად, როდესაც ლიუტერი ედავებოდა 1529 წ. მარბურგში შვეიცარიელ რეფორმატორს ცვინგლის ზიარების მნიშვნელობის შესახებ, ის თვითონვე ლალატობდა მის მიერ აღსარებულ პრინციპს.

და ცვინგლის სისტემა, რომელიც თეოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, უდიდესი ბორკილი იქნებოდა თავისუფალი აზრისათვის. კიდევ უფრო სასტიკი და მკაცრი იყო ჟენევის რეფორმატორის კალვინის მოძღვრება (გარდაიცვალა 1564 წელს). მაგრამ მაინც გამარჯვება, რომელიც მოიპოვა საბოლოოდ პროტესტანტიზმმა ხანგრძლივ ომებს შემდეგ ვესტფალიის შერიგებით (1648 წ.),—უდიდესი ნაბიჯი იყო წინ აზრის განთავისუფლებისაკენ.

კონტრ-რეფორმაციის ხანა — კაცობრიობის ისტორიის შავ ლაქას წარმოადგენს. რეფორმაცია, რომელიც დაუბრკოლებლად ვრცელდებოდა ბევრი ათეული წლის განმავლობაში, ბოლოს საშინელ დაბრკოლებას შეეჯახა ძველი კათოლიკე ეკლესიის მხრით. დაარსდენ ახალი საბერო ორდენები—კაპუცინები, თეატინები და იეზუიტები, რომელთაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს რეფორმაციას. ძველ სარწმუნოებასვე დაუჭირეს მხარი სამეფო გვარებმა, მაგალითად, ავსტრიაში ჰაბსბურგებმა, ბავარიაში ვიტტელსბახებმა, აგრეთვე ბევრმა სხვა მმართველმა, საფრანგეთის მეფეებმა და მეტადრე ისპანიის მეფემ ფილიპე II-მ (1555—1598), რომელზედაც ამბობდენ: „მეფის გაცინებიდან მის ხანჯლამდის ორი თითის დადება არისო".

იტალიის ნახევარი — მილანი, ნეაპოლი, სიცილია და სარდინია — ისპანიას ემორჩილებოდა და მეორე ნახევარზედაც დიდი გავლენა ჰქონდა იმავე სახელმწიფოს. პაპა პავლე მესამემ აქ უკვე 1542 წელს დააწესა ისპანიისებური ინკვიზიცია, რომელიც სდევნიდა თავისუფალ მოაზრეთ.

პაპა პავლე IX განაგრძობდა თავისი წინამორბედის პოლიტიკას. შესანიშნავი პოეტი ქალი, მეგობარი და მფარველი მიქელ-ანჯელოსი, ვიტტორია კოლონნა, მხოლოდ სიკვდილმა გამოგლიჯა ხელიდან ინკვიზიციის. რეფორმაციის მომხრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაში? ყოველივე ეს რას ამტკიცებს? სრულ ჩვენ მოუმზადებლობას, ჩვენ თვით-მოქმედების უქონლობას და სხვას არაფერს.

მართალია, არის თითო ოროლა პირი, რომელნიც, მართლაც, სიმპატიურ მონაწილეობას იღებენ ქალთა საქმეში, მაგრამ რა ჰქნან მარტო ამათ? ამ რამოდენიმე პირს ხომ არ შეუძლია გადასწყვიტოს მთელი ქუთაისის ქალების საკითხი? ისე-კი ხშირად შეხვდებით ხოლმე ათასნაირ „მოდურათ“ ჩაცმულ კოპწია ქალს, რომელიც აგერ მოყვება რომელიმე „კავალერს“ და სალაპარაკო საგნათ ქალთა ემანსიპაციის საკითხი აუღია: „Мы хотимъ непремѣнно эмансипацію“. და რომ გააჩეროთ ასეთი ქალი და ჰკითხოთ: „ქალო! რა გიქნია შენ იმის ფასი, რომ ემანსიპაციას გაიძახი-თქო? ის თავმომწონებით გიპასუხებთ: „აბა რას ამბობთ, თუ არ მიქნია, ეს იმიტომ, რომ უუფლებო ვარო. ეს პასუხი ყოველთვის ენაზე აკერიათ.— და აბა გადაეცით მეორე დღეს ამ ქალს, რომ ხვალ, ქალთა კრებაა, მშვენიერი საკითხები ირჩევა და უთუოდ უნდა დაესწროთ-თქო, თამამად მოგიგებთ: „აბა სადა მცალიან? ხვალ მკერავ ქალთან უნდა წავიდე, ეგებ მალე „ვეჩერისთვის“ კაბა დამიმზადოსო. ეს თუ ასე არ არის, მაშ გადახედეთ ქუთაისის ახალგაზდა ქალებს. მთელი ათი წელიწადი უსწავლიათ, გაუთავებიათ გიმნაზია და თავის მოვალეობაც-კი ვერ შეუგნიათ. გადახედავთ ასეთ ქალებს და შეატყობთ, რომ რაღაცას ფუსფუსობენ, დარბიან, დახტიან—ხან ერთ მაღაზიაში შევარდებიან, ხან მეორეში. ხარჯვენ აუარება ფულებს, რომ რაც შეიძლება მოდაზე ჩაიცვან და ერთმანეთს პრანჭვა-გრეხაში არ ჩამოუვარდენ.

სწორეთ გულსაკლავი სურათი წარმოგიდგებათ თვალწინ, თუ გუშინდელ „ქალთა კრებას“ გადახედავდით: რამდენიმე სკამზე ჩამომჯდარან მხოლოდ და მხოლოდ ინიციატორები ამ მშვენიერ კრებისა და უცდიან, როდის იქნება ის ნეტარი წუთი, რომ საკმაო რიცხვი ქალებისა შეიკრიბება, მაგრამ აგერ ათი საათი გადის და ქალი არსად სჩანს. რამდენი კარი გაიღება, თვალები იქითკენა რჩებათ, მაგრამ არ იქნა და ვინ იცის, ლოდინით კიდეც ჩაეძინებოდათ, რომ ერთ მათგანს კრების გადადების საკითხი არ ჩამოეგდო. და, მართლაც, ადგა ერთი ინიციატორთაგანი ამ კრებისა და გულდაწყვეტილი განაცხადა ცარიელ დარბაზში, რომ წევრებისა და საერთოდ ქალების მოუსვლელობის გამო, კრება გადადებულიაო და ეს რამდენიმე პირიც უსიტყვოდ დაიშალა.

აბა შეგვხედათ ამ დროს ქალაქის ბალში? ან და შეგვხედათ სადმე „კომპანიაში“, ან და რომელიმე სამკერვალოში, ან საკანდიტეროში ან და „რადიუმში“ ვის შეხვდავდით? მხოლოდ ახალგაზდა ქალებს, რომლებიც უდარდელათ კისკასობენ მათ მოტრფიალეებთან, უდარდელათ „პარუსკობენ“ უშინაარსო საკითხებზე და არც-კი იციან, და რომ სცოდნოდათ, არც კი გაახსენდებოდათ, რომ დღეს ასეთი სიმპატიური კრებაა, ისეთი კრება, რომელიც ქალთა საზოგადოებას დააწინაურებს, და სხვის თვალში სიმპატიას დაამსახურებინებს. და ყოველივე ამის შემხედვარე, რაღაც სასოწარკვეთილებაში ვვარდები, რაღაც გამოურკვეველი სივალალე გიღრღნის გულს და მიუხედავათ იმისა, რომ შენ თვითონ ქალი ხარ, უნებლიეთ არჩილისვე სიტყვებით ეკითხები შენს თავს:

„ქალია—ადამიანი?!..“

**ქართველი ქალთაგანი.**

## ქალაქის საბჭო.

9 მარტი.

9 მარტს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ქალაქის მოურავის ი. მ. ჩიქოვანის თავჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს მორიგი კრება. კრების გახსნისთანავე წაკითხულ იქნა 2 მარტის კრების ოქმი, რომელიც საბჭომ დაამტკიცა.

ვრცელი კამათი გამოიწვია „სალორიის“ მამულების მოიჯარადრეთა თხოვნამ. ესენი თხოულობდენ ფულის გადახდის ვადის გადადებას.

ქალაქის გამგეობამ, იმათ ვინც ომში არის გაწვეულნი, ფულის შემოტანა ადროვა.

შემდეგ საბჭომ იმსჯელა ეკლარის ქვასატეხის შესახებ და გამოირკვა, რომ ეკლარისაკენ მეტად ცუდი გზაა და თუ ეს გზა არ შეკეთდა ქალაქი მოგებას ვერა ნახავსო.

ბ. გუბერნატორის წინადადებისამებრ განხილულ იქმნა საკითხი ბორანზე გადასახადის შესახებ. და საბჭოს ძველი ფასები დასტოვა:—მოწაფეებსა და ჯარის კაცებზე თითო კაპიკი, ხოლო დანარჩენებზე 2 კაპიკი.

დიდი კამათი გამოიწვია ქუთ. დრამატიული საზოგადოების გამგეობის მოხსენებამ გამგეობა თხოულობდა თეატრის საჭიროებისათვის ქალაქს გრ. ი. გველესიანისაგან დაექირავებია ერთი ოთახი.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ დრ. საზ. თხოვნა გასარჩევათ ისევ ფინანსიურსა და ტეხნიკურ კომისიას გადასცეს.

# დეპეში

„სამშობლოს“ რედაქციას.

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატებისა და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების შეერთებული კრება გაეცნო რა პეტროგრადის საგენტოს იმ დეპეშის შინაარსს, რომელიც 4 მარტის თარიღით გაგზავნილია სევასტოპოლიდან, და სადაც აღნიშნულია გერმანიის ემისარის მოხსენება ქალაქ ვიცედან, ძალიან აღშფოთებულია იმ გარემოებით, რომ დეპეშა, რომელიც შეიცავს აშკარა ცილისწამებასა და ინსინუაციას ქართველ ერზე, გამოქვეყნებულია საგენტოს მიერ იმ აშკარა მიზნით, რომ ქართველი ერის ლოიალობა და მისი ერთგულება ტახტისადმი საეჭვოთ გახადოს. კრება გამოსთქვამს თავის გულის წყრომას და ვერ გაუგია თუ პეტროგრადის საგენტოს რანაირათ მიეცა ნება ასეთ განზრახ უგვანო ცილისწამების გამოქვეყნებისა. აღნიშნული კრება იმედოვნებს, რომ მთავრობა უარყოფს ასეთ ცილისწამებას და მით აღშფოთებულ საზოგადოებრივ აზრს დაამშვიდებს.

თფილისის გუბერნიის თავ.-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თ-დი **სუმბათაშვილი.**

# ახალი ამბავი.

დღეს, 11 მარტს, საღამოს 7 საათზე დეპუტატთა საკრებულოში მოხდება ქუთაისის ყველა კულტურულ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთა მსჯელობა იმ სამარცხვინო დეპეშის შესახებ, რომელიც ამ დღეებში პეტროგრადის საagენტომ გამოაქვეყნა.

✦ კავკავის ქართული სკოლის მასწავლებელს გრ. მაჭავარიანს (გრ. საქარი ქედელი) ე. ნინოშვილის მოთხრობა მოსე მწერალი ოთხ-მოქმედებიან პიესათ გადაუკეთებია.

✦ სამხედრო საკრებულოში ჯეროვან დაწესებულებამა 1895 წელში დაბადებულთა სიები უკვე წარმოადგინეს. მათი გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ მდგომარე წლის 15 მაისიდან მოხდება.

✦ რედაქციამ მიიღო „სასოფლო გაზეთის“ პირველი ნუმერი. გაზეთი მშვენივრათ არის შედგენილი. გაზეთს აკაკის დიდი სურათი ამშვენებს.

✦ ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ პურზე შემდეგი ნიხრი დააწესა: პირველი ხარისხის—ოყა $16^1/_2$ კაპ.—მეორე —15 კ. და მესამე—$13^1/_2$ კაპ. ხორცზე ნიხრს თითო კაპიკი მოუმატეს.

✦ ქალაქის ქუჩის განათება ძველ ფასებში ისევ მოიჯარადრე საარეკმა აიღო.

✦ სოლქო სასამართლოს სესია საჩხერიდან უკვე დაბრუნდა.

✦ ხვალ, 12 მარტს, ოლქის სისხლის სამართლის განყოფილებაში გაირჩევა ილია მარუაშვილის და ისიდორე ლეკვეიშვილის საქმე.

✦ 12 თებერვალს, მომრიგებელ მოსამართლესთან საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სიმონ თეთრუაშვილის მოძრავი ქონება.

✦ 4 მარტს, ღამით საფიჩხიაზე ივლიანე ნემსაძის დუქნიდან ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა მოიპარეს 50 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

✦ გუშინწინ, თფილისის ქუჩაზე, ანტონ აბულაძის სარდაფიდან მოიპარეს 40 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

✦ 6 მარტს, თფილისის ქუჩაზე, იოსებ ოვანესოვს ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა მოიპარა დიდი სარკე, ღირებული 18 მანეთათ.

### მოწერილი ამბავი.

**დ. შორაპანი.** 7 მარტს, საღამოს 5 საათზე, ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების თაოსნობით გადახდილ იქნა საორმოცო პანაშვიდი დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ.

ამ დღესვე გასამართი აკაკის საღამო 14 მარტისთვის გადაიდო.

**ს. კიცხი.** (შორაპნის მაზრა). 8 მარტს, ადგილობრივ ეკლესიაში დიდძალი ხალხის თანადასწრებით გადაიხადეს ორმოცის პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლათ. მღვდელმა პანაშვიდის დაწყებამდის დამსწრე საზოგადოებას გააცნო დიდებული მგოსნის მოღვაწეობა. პანაშვიდის გათავების შემდეგ ლექსი წაიკითხა მაჭავარიანმა.

**ს. ჯრუჭი.** შაბათს, 7 მარტს ჯრუჭის წმიდა გიორგის მონასტერში გადახდილ იქნა საორმოცო წირვა და პანაშვიდი დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ.

# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსგან.

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 9 მარტი. **მთავარსარდლის შტაბისაგან. დღეს დილის 9 საათზე პერემიშლეს ციხესიმაგრე ჩვენს ჯარს დაჰნებდა. მთავარსარდლის ბანაკში, მითი უმაღლესობის თანადასწრებით, გადახდილ იქნა პარაკლისი.**

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 8 მარტი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მტერმა სუასონის ტაძარს ხელახლათ დაუშინა ყუმბარები. სულ 27 ყუმბარაა ნასროლი, რის გამოც ტაძარი ძალიან არის დაზიანებული. წინააღმდეგ გერმანელების რწმენისა, [illegible] რაიმე სამხედრო პუნქტს არ წარმოადგენდა. მხოლოდ ზედ წითელი ჯვრის [illegible]ლებული. 7 მარტს, საღამოს, შამპანში 196 მეტ. სიმაღლიდან აღმოსავლეთისკენ ცოტათი წინ წავიწიეთ. მენილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, 8 მარტის, განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. არგონის სიმაღლეზე აგრეთვე მთელი დღის განმავლობაში თოფით იყო ბრძოლა. ეპარჟთან ჩვენ მიერ დაჭერილი პოზიციები შევიმაგრეთ, მიუხედავათ მტრის ორი თავგანწირული იერიშისა. ვოგეზში გუშინ ჩვენ მცირე რეიხნკოფი დაუთმეთ მტერს, მაგრამ ხელახლათ დავიჭირეთ. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ პარიზზე გერმანელების ოთხი „ცეპელინი“ გამოჩნდა ღამის პირველ საათამდი და კომპიენისკენ გაემართა, ვუაზის ველის გასწვრივ. ორმა ცეპელინმა პარიზამდი ვერც-კი მიაღწია, რომ იძულებული იყო გვერდი აექცია. დანარჩენ ორ ცეპელინს სიმაგრის არტილერიითგან ცეცხლი დაუშინეს. მათ მოასწრეს პარიზის განაპირა ადგილებზე ჩრდილო-დასავლეთის გზით გადაფრენა. „ცეპელინებმა“ 12 ყუმბარა ჩამოაგდეს; რომელთაგანაც ზოგი არ გამსქდარა. ზარალი მცირეა. 7—8 არის დაჭრილი, მათგან ერთი ძალიან არის დაშავებული. ჰაეროპლანების ერთი რაზმი „ცეპელინებს“ გამოეკიდა, მაგრამ ნისლიანი ამინდის გამო „ცეპელინები“ მიიმალნენ. ამნაირათ „ცეპელინების“ წამოქროლა უნაყოფო გამოდგა. ქალაქის მცხოვრებლები დამშვიდდენ. დაბრუნებისას „ცეპელინებმა“ კომპიენს ყუმბარები დაუშინეს. ყუმბარები კომპიენიდან ჩრდილოეთით მდებარე რიბეკურს მოხვდა, მაგრამ ზიანი არ მიუყენებია. ერთი ყუმბარა შოვოს ქუჩაზე ნელისიურსონს მოხვდა და ერთს სახლს ცეცხლი გაუჩინა, რომელიც ამერიკის ჰოსპიტალზეა მიშინებული.

# სხვა და სხვა ამბები.

(პეტრ. დეპ. სააგენტოსაგან).

**სოფია.** 8 მარტი. არკვევს რა „რეიტერის“ კორესპონდენტის დეპეშას ფაინ-პრიჩინაგი შესახებ საბერძნეთის პოლიტიკისა და ნეიტრალიტეტისა „ენოდეზუმარში“ სწერს: ბულგარეთის მხრით საბერძნეთს არავითარი შიში არ მოელის. ვენიზელოსის გამოსვლა ოსმალეთის წინააღმდეგ, როგორც, ვითომდა, მომხდარი ფაქტი ტყუილია. საბერძნეთს ბულგარეთი არც ვენიზელოსის წინა და არც მისი სამსახურიდან გადადგომის შემდეგ არ დასცემია. იგი არ დასცემია სერბიასაც, სწორეთ იმ დროს, როდესაც საკმარისი იყო ბულგარეთის ერთი

---

აკადემიები მოდენისა და ნეაპოლისა დაიშალენ. პაპის პირველი ნოტარიუსი კარნეზეკი და მილანის პროფესორი პალეარი ჯერ საპყრობილეში აწამეს და მერე სიკვდილით დასაჯეს. ფერრარის ჰერცოგის მეუღლე რენატა შვილებს დააშორეს, საპყრობილეში ჩააგდეს და იმდენ ხანს გააჩერეს შიგ, სანამ უარი არ ათქმევინეს პროტესტანტობაზე.

პროტესტანტიზმთან ბრძოლა, როგორც იტალიაში, აგრეთვე ისპანიაშიაც ადვილი იყო, რადგან ხალხი არც აქ მიემხრო ამ ახალ სარწმუნოებას. 21 აპრილს 1559 წ. შესანიშნავი საეკლესიო მქადაგებელი, სასახლის ძველი კაპელლანი, დოკტორი ავგუსტინ კაზალლა, ბევრი სხვა სასულიერო პირი და რამდენიმე მანდილოსანი და კეთილშობილი პირი ისპანიის პირველ ქალაქ ვალიადოლიდში კოცონებზე დასწვეს. იმავე წლის 8 ოქტომბერს დასწვეს სხვა „მწვალებელნი“ და ამ აუტოდაფეს დაესწრენ მეფე, მისი შვილი კარლოსი და რამდენიმე ასი ათასი მაყურებელი. ბევრი წარჩინებული პირი დასწვეს მაშინ. და, როცა სწვავდენ, პირში მათ რკინის პალოები ჰქონდათ ჩაჩრილი, რომ არა ეთქვათ-რა ხალხისთვის.

1559 წელს ინკვიზიციამ მოსპო სევილიისა და ვალიადოლიდის საზოგადოებანი პროტესტანტებისა. საერთოდ ამ დროს სევილიაში დაისაჯა 800 პროტესტანტი. ამავე წელსა და აგრეთვე შემდეგ წლებში აუარებელი კაცი დასწვა ინკვიზიციამ ისპანიის ბევრ სხვა ქალაქშიაც. ყველას ეშინოდა, რომ არა წამოსცდენოდა-რა ისეთი, რომ ინკვიზიტორებს საბუთად გამოეყენებიათ.

აზრის თავისუფლება სრულიად მოისპო. და, ვისაც არ შეეძლო შერიგებოდა ამ შემხუთველ პოლიტიკურსა და სარწმუნოებრივ ატმოსფერას, სტოვებდა სამშობლოსა და უცხო ქვეყანაში იხიზნებოდა.

მაგრამ ფილიპე ამას არ დასჯერდა და მოინდომა ნიდერლანდებიც მოეკლა სულიერად.

(შემდეგი იქნება).

**ვახილ წერეთელი.**

# ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულება უცხოეთთან.

**წერილი ლონდონიდან.**

(მიმოხილვა 1884-დან 1912 წ—დი).

შემდეგი იხილე „სამშობლო“-ს №№ 28—31

5) **ნიგვზის ანუ კაკლის ხე).** გაიზიდა უცხოეთში:

| წლები. | ბათუმზე: ფუთი. | ფოთზე: ფუთი. |
|---|---|---|
| 1885 | — | 10,168 |
| 1886 | — | 28,520 |
| 1887 | — | 41,540 |
| 1888 | -- | 62,682 |
| 1889 | — | 47,862 |
| 1890 | — | 14,880 |
| 1891 | 101,618 | 34,486 |
| 1892 | 124,000 | 29,140 |
| 1893 | 149,420 | 29,512 |
| 1894 | 110,732 | 19,774 |
| 1895 | 136,958 | 60,540 |
| 1896 | 125,232 | 27,280 |
| 1897 | — | 14,548 |
| 1898 | 212,031 | 1,448 |
| 1899 | 545,600 | 17,360 |
| 1900 | 74,028 | 8,370 |
| 1901 | 127,472 | — |
| 1902 | 110,546 | 3,100 |
| 1903 | 120,032 | 12,710 |
| 1904 | 99,448 | 10,106 |
| 1905 | 35,464 | 20,336 |
| 1906 | 104,432 | 58,280 |
| 1907 | 94,426 | 70,556 |
| 1908 | 62,000 | 22,692 |
| 1909 | 155,000 | 79,856 |
| 1910 | 186,000 | 69,750 |
| 1911 | 198,400 | 102,300 |
| 1912 | 217,000 | 114,080 |

ორივე ნავსადგურიდან 1885—1912 წ., ე. ი. 28 წლის განმავლობაში გაზიდული ნიგვზის ხის ღირებულობა უდრის: $6^1/_2$ **მილიონ მანეთს.**

ამ საქონლის გაზიდვაც უცხოელების ხელშია და ბაჟს საკითხმა მასზეც ისევე გავლენა იქონია, როგორც ბზის ხეზე.

ნიგვზის ხე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში იშოვება. ამ უკანასკნელ ხანაში კარგი ღირსების ხე ნაკლებად მოიპოება, რადგანაც, რაც ძველი ხეები იყო, სულ მოიჭრა და რამდენსამე წლის შემდეგ შეიძლება სხვილი ხე სრულიადაც იშვიათი გახდეს.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და ეს ძვირფასი ხე სულ არ მოვსპოთ.

უცხოეთის ბაზრებზე ჩვენ ნიგვზის ხეს ხშირად ეძახიან „ჩერქეზულს“, რომელსაც ძვირფასი ავეჯეულობისათვის ხმარობენ.

ვინაიდან ეს საქმე სრულიად მოუწყობელია, ჩვენების უვიცობით სარგებლობენ მყიდველნი ფოთსა და ბათომში და ფასებს უკლებენ. ჩვენების განცალკევება ხელს უწყობს მაზანდის დაცემას.

6) **ცხვრის მატყლი.** გაიზიდა უცხოეთში:

ბათომზე:

| წლები | ფუთი | წლები | ფუთი |
|---|---|---|---|
| 1884 | 341,000 | 1890 | 445,036 |
| 1885 | 80,600 | 1891 | 228,098 |
| 1886 | 186,000 | 1892 | 191,332 |
| 1887 | 260,400 | 1893 | 309,070 |
| 1888 | 193,130 | 1894 | 93,682 |
| 1889 | 149,860 | 1895 | 116,994 |
| 1896 | 89,652 | 1904 | 259,718 |
| 1897 | 123,938 | 1905 | 248,438 |
| 1898 | 103,168 | 1906 | 214,960 |
| 1899 | 137,780 | 1907 | 148,552 |
| 1900 | 99,448 | 1908 | 63,798 |
| 1901 | 91,450 | 1909 | 193,006 |
| 1902 | 203,794 | 1910 | 128,960 |
| 1903 | 258,664 | 1911 | 235,166 |
| | | და 1912 | 264,368 |

მატყლი იზიდება მარტო ბათომზე; 1884—1912 წ., ე. ი. 29 წლის განმავლობაში, გაზიდული მატყლის ღირებულობა უდრის: **40 მილიონ მან.**

უცხოეთის ბაზარზე ჩვენს მატყლს, როგორც ქართულს, ისე იცნობენ: მარსელის, ლონდონისა და ნიუიორკის ბირჟაზე მას უწოდებენ „Georgian“ (ე. ი. ქართული); მიუხედავათ ამისა, მატყლის ვაჭრობა ჩვენში უცხო ტომის ჩარჩების ხელშია.

1910 წ. დაარსდა თფილისში აგრეწოდებული „ამიერკავკასიის მესაქონლეთა ამხანაგობა“, რომელსაც სურდა მატყლის ვაჭრობის საქმის მოწყობა, მაგრამ ის ამხანაგობა წელს დაიხურა. მაშასადამე, ეს საქმე კიდევ მოუწყობელია. დროა, მოვუაროთ ასეთ სიმდიდრეს. ჩვენ ქვეყანაში, 1912 წ. გამოანგარიშებით 2,550229 ცხვარი იყო. ფშავ ხევსურეთი ცხვრით ირჩენს თავს.

გაზიდული მატყლის რაოდენობა მარტო ჩვენი ქვეყნის ნაწარმოებს არ შეადგენს; თითქმის ნახევარი თურქესტანიდან მიდის.

სულ ამ 29 წლის განმავლობაში გაზიდული მატყლი, გარდა მცირე გამონაკლისისა, ამერიკაში შეიტანეს.

7. **ძირტკბილა.** უმთავრესად იშოვება განჯის გუბერნიაში, სადაც ამ საქონლის დასამზადებლად 1892 წ. სამი ქარხანა დაარსდა, 2 ინგლისური და 1 ბერძნული. ეს ქარხნები ამზადებენ აგრეთვე ძირტკბილას გამონახადს. მიუხედავად იმისა რომ ეს წარმოება ჩვენ ქვეყანას პირდაპირ არ შეეხება, მაინც მოვიხსენიებთ შესადარებლად. გაიზიდა უცხოეთში.

ბათომზე:

| წლები | ფუთი | წლები | ფუთი |
|---|---|---|---|
| 1887 | 86,800 | 1900 | 552,172 |
| 1888 | 152,458 | 1901 | 1,94,752 |
| 1889 | 186,000 | 1902 | 876,370 |
| 1890 | 388,288 | 1903 | 987,226 |
| 1891 | 845,246 | 1904 | 362,824 |
| 1892 | 1,031,618 | 1905 | 790,872 |
| 1893 | 1,110,792 | 1906 | 523,900 |
| 1894 | 854,360 | 1907 | 587,226 |
| 1895 | 819,268 | 1908 | 763,904 |
| 1896 | 460,644 | 1909 | 1,017,234 |
| 1897 | 274,226 | 1910 | 674,932 |
| 1898 | 605,120 | 1911 | 941,532 |
| 1899 | 524,210 | 1912 | 970,114 |

ფოთზე:

1894 წ. 39,122 ფუთი; 1899 წელ- 50,096 ფუთი; ორივე ნავთსადგურიდან გაზიდული (1887—1912 წ., ე. ი. 26 წლის განმავლობაში) ძირტკბილას ღირებულობა დაახლოვებით უდრის: **20 მილ. მანეთს.** ამ წარმოებაში ჩვენებს სრულიად არავითარი მონაწილეობა არა აქვთ.

8. **ბამბის კურკა.** გაიზიდა უცხოეთში:

| | ბათომზე: | | ფოთზე: |
|---|---|---|---|
| 1901 წ. | — | ფ. | 6732 ფ. |
| 1906 „ | 37,200 | „ | — |
| 1910 „ | 3,224 | „ | — |
| 1911 „ | 147,436 | „ | — |
| 1912 „ | 1196,166 | „ | 6,758 ფ. |

ამ საქონლის უცხოეთში გაზიდვა სრულიად ახალი საქმეა და თანდათან გაიზდება. გაზიდულ რაოდენობაში შედის აგრეთვე თურქესტანიდან გამოტანილიც. საქონელი თითქმის სულ ინგლისში იგზავნება, სადაც მისგან საჭმელ ზეთს ხდიან.

**დავით ლამბაშიძე.**

(შემდეგი იქნება.)

სავაჭრო სახლი
„ი. გოკიელოვის ძ—ბის“
ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

# ხ. ხრისტოდულიდის

მიღებულია. ვინც თესლს შეგვიკვეთს ათ მარტამდი არა ნაკლებ [illegible] მელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კო[illegible] 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.


დივიზა სერბიის ჯარს უკან მოსდგომოდა, რომ სერბია დაემხო. თუ საბერძნეთი ჯერ არ გამოსულა, ამის მიზეზი ვაჭრობის წვრილმანობა უნდა იყოს, რომელსაც ვერ გაუბედნია გამოსვლა იმ კეთილ შედეგებისთვის, რომლის იმედიც უნდა ჰქონდეს. რადგანაც იგი აღმოსავლეთის იმპერიის აჩრდილით არის მოხიბლული. მხოლოდ რუსეთს შეუძლია საბერძნეთის შიში გააქარწყლოს.

**სტოკჰოლმი.** 8 მარტი. გერმანიაში ჩაის სიმცირის გამო, ფასმა ძალიან აიწია.

**პარიზი.** 8 მარტი. პრეზიდენტმა თავის მეუღლითურთ პარიზის განაპირა გოსპიტალში მწოლარე ავათმყოფები დაათვალიერეს, რომლებიც გერმანიის „ცეპელინებისაგან“ არიან დაშავებულები. ავათმყოფებს კარგა ხანს ესაუბრა პრეზიდენტი და მათ ოჯახების სასარგებლოთ ფული გადასცა.

**ჟულფა.** 9 მარტი. როგორც ურმიიდან იტყობინებიან ოსმალეთის ელჩი რახიბა ასკერებით ამერიკის სასულიერო საელჩოს დასცემია. ოსმალებს ხელში ჩაუვარდნიათ მართლმადიდებელი ეპისკოპოსი მარილო, რომელსაც აწამებდენ და დასცინოდენ ოსმალები.

**ლვოვი.** 8 მარტი. პერემიშლესთან ბრძოლის დროს დატყვევებულთა გადმოცემით, მცხოვრებლები უპურობის გამო დიდ შიმშილს განიცდიან. ცხენების ნასახიც კი არ არის, გარდა ოფიცრებისა. ყველა ცხენი სასაკლაოს შეეწირა. ჯარისკაცებს მუდმივ იკვებებიან. შიმშილის ნიადაგზე სახადი და სხვა ავათმყოფობაა გავრცელებული. ჯარში უკმაყოფილებაა.

**ლონდონი.** 8 მარტი. კაპშტადიდან რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარმა გერმანიის შვიდი დეოქტორია დაიჭირა, სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში. სამხრეთ აფრიკაში ამ დაჭერილ ადგილებს, სამხედრო თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს.

**პარიზი.** 9 მარტი. კრეისერ „გოლუას“ შესაკეთებლათ ბელტას გაგზავნიან. ფიქრობენ, რომ კრეისერი ბრძოლის ასპარეზზე მალე გამოვა.

**ტეტინაე.** 9 მარტი. მტრის არტილერიამ და ქვეითა ჯარმა ჩერნოგორიის პოზიციებს დაუშინეს ცეცხლი, რომელიც უმთავრესად გრახოვის წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა ზიანი არ მიუყენებია. მტრის ჰაეროპლანები გრახოვს უნაყოფოთ უშენენ ყუმბარებს. ავსტრიელები ბოსნიიდან და გერცოგოვინიდან სერბიელ მცხოვრებლების გაძევებას განაგრძობენ. გამოქცეულ სერბიელთა ოჯახების დამხმარე ორგანიზაცია მოაწყეს, რომლებიც ჩერნოგორიას თავს აფარებენ.

## ოგანიერთან საუბარი.

„უნიტედ. პრესსის“ დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ქონდა ხანგრძლივი საუბარი საფრანგეთის საზღვაო მინისტრ ოგანიერთან: ოგანიერმა, მოკავშირეთა ფლოტის დანიშნულების შესახებ შემდეგი სთქვა:

რამდენათაც ეს დამოკიდებული იქნება ჩვენგან ამიერიდან ვერცერთი გემი ვერ მიაღწევს გერმანიის ნაპირებს. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამის შესრულებას შევძლებთ. დაიწყო თუ არა ომი ჩვენ არც ერთი მუხლი ომის წესისა არ დაგვირღვევია. გერმანიამ კი დაარღვია ყველა კანონები და მივიდა ველურობამდის. სხვა რაღა დაგვრჩენია, გერმანიას საზრდო უნდა გამოვაცალოთ პირიდან“.

ოგანიერი სთვლის უსაბუთოთ, ადმირალ ტირპიცის მუქარას, ინგლისისადმი მიმართულს: „ამბობენ, ვითომ გერმანია ჩუმათ ამზადებს წყალქვეშ მავალ გემებსო, მაგრამ მე უკეთ ვიცი თუ რას ჩადის გერმანია, მე ნამდვილათ ვიცი თუ რამდენი წყალ-ქვეშ მავალი გემი ჰყავს გერმანიის. გერმანიას გემებმა ადვილი შესაძლებელია დაღუპონ ერთი ან ორი, შეიძლება ბევრი სავაჭრო გემი, მაგრამ რა? განა ამას ომისათვის რამე მნიშვნელობა ექნება? არაფერია მათი მუქარა, ინგლისის ალყა შემოვარტყამთო, ისეთივე ფანტასტიურია როგორც მუქარა: პარიზისა და ლონდონის ცეპელინებით დაწვა“.

— რას აკეთებს თქვენი ხმელთა შუა ზღვის ფლოტი? — ჰკითხა კორესპონდენტმა.

„ის უცდის იმ დროს, როდესაც მტრის ფლოტი გამხნევდება და გაშლილ ზღვაში გამოვა. ჩვენი ფლოტი დასეირნობს აღმა დაღმა ხმელთა შუა ზღვაში და ხანდისხან იწვევს მტრის დამალულ ფლოტს საბრძოლველათ, მაგრამ მტერი ყოველი ბრძოლის შემდეგ ჩვენ მამაც ფლოტს ზურგს უჩვენებს ხოლმე.

— მაგრამ, ხომ შესაძლებელია—კითხა კორესპონდენტმა, რომ ავსტრიის ფლოტი შეებრძოლოს ინგლის საფრანგეთის ფლოტს დარდანელის სრუტეში შესვლის დროს.

„ჩვენი ნატვრაც სწორეთ ეს არის ომის დაწყებიდან, სულ მაგას ვფიქრობდით, მაგრამ მტერი მფრთხალი გამოდგა“.

— ნუ თუ ინგლის—საფრანგეთის ფლოტი არ შესწყვეტს დროებით მაინც, სტამბოლისკენ წინსვლას? შეეკითხა კორესპონდენტი.

„ჩვენ არ შევჩერდებით მანამდის, სანამ სტამბოლი არ დაეცემა. ჩვენი ვიცით, რომ სტამბოლის აღება ძალიან ძნელია მაგრამ ეს მიზანი მაინც მიღწეულ იქმნება. რამდენი დრო დასჭირდება სტამბოლის აღებას დანამდვილებით თქმა არ შეიძლია. ყველაზე გამაგრებული ადგილია შუა დარდანელიდან მარმარილოს ზღვამდი და თუ კი ეს ადგილი გავიარეთ მაშინ ველარაფერი გაგვაჩერებს, სტამბოლი აღებული იქნება“.

— რა მნიშვნელობა ექნება სტამბოლის აღებას შემდეგი მოქმედებისთვის? აიტაცა ცნობის მოყვარეობამ კორესპონდენტი.

„საზოგადოთ ძნელია წინდაწინ თქმა იმისი თუ რა მოყვება ამ ფაქტს, მაგრამ თავის თავათ ცხადია, რომ სტამბოლის აღებას დიდი მნიშვნელობა ექნება“.

— ამერიკასა და გერმანიას შორის, ხომ არ ფიქრობთ, რაიმე მოხდეს, ჩრდილოეთის ზღვის ნახევრის საომარ ასპარეზათ გამოცხადების გამო—კითხა კორესპონდენტმა.

„გერმანია, მე მგონია არარის ისეთი უაზრო, რომ ამერიკის გემებს ზარბაზნები დაუშინოს“.

— არ შეუძლია გერმანიას, რომ საფრანგეთს ზღვაზე მფლობელობა დაუკარგოს?

შეეკითხა კიდევ კორესპონდენტი.

„ჩვენ არ გვეშინია გერმანიის არც ზღვაზე, არც ხმელეთზე, არც ჰაერში და არც ზღვის ქვეშ. ჩვენ გავნაგრძობთ გერმანიისკენ მიმავალ გემების დაღუპვას, გერმანიის ალყა გარღვეულია; ჩვენ აგრეთვე მივიღეთ ზომები ჩვენი მიხვერპლის შესამცირებლათ; გერმანიის ალყის პასუხი ის არის, რო ჩვენ არ შეუშვებთ გერმანიის არც ერთ ნავსადგურში არც ერთ გემს. ჩვენ დავამარცხებთ გერმანიას ში შილით“ დაათავა ოგანიერმა.

(„დ.“)

## სკანდინავია.

მალმეში სკანდინავიის სამეფოთა ერთმანეთის ნახვამ, რასაკვირველია ჩრდილოსახელმწიფოების პოლიტიკა მოატრიალა და მით შვეციის კონსერვატორებს პირი შეუკრა, რომელთა რუსოფობურ პროპაგანდამ არასასიამოვნო ხასიათი მიიღო.

— დანიას გერმანოფილობას ვერავინ დასწამებს, 1864 წ. ამბავმა დიდი დაღი დაასვა, რომელიც დღესაც აშჩნევია. დანიელებმა ძალიან კარგათ იციან, თუ მათ მოძმეებს შლეზვიგსა და გოლშტინში პრუსიის რეჟიმის ქვეშ, როგორ გაჭირვებით უხდებათ ცხოვრება. ეჭვი არ არის, რომ თითოეული დანიელი პატრიოტი თავის გულში დარწმუნებულია, რომ ომის შემდეგ ინგლისის მთავრობა დანაპირებს შეასრულებს და დანიას ეროვნულ უფლებებს აღუდგენს. ამიტომ დანიაც ნეიტრალიზაციის იქით არ მიდის.

ბელგიის უბედურობის მნახველთ ყველა პატარა სახელმწიფოს ეშინიან ომში ჩარევისა გერმანიის წინააღმდეგ.

ნორვეგიის მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, უფრო სხვანაირია. ისე, როგორც დანიას, მასაც არა აქვს გერმანიისადმი მტრობის პირდაპირი მიზეზი. ნორვეგიელების თანაგრძნობა ინგლისისკენაა გადახრილი. ნორვეგიის ასეთ გადმოხრას მარტო მეგობრობა კი არ იწვევს, ზღვაზე ვაჭრობის ინტერესებიც. ნორვეგია, მიმდინარე ომის განმავლობაში, ისეთ ტაქტიკას ადგია, რომ იგი შეიძლება იდეალური ნეიტრალიტეტის პოლიტიკათ ჩაითვალოს. ამ უკანასკნელ დროს ყოფილმა მინისტრმა კონოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა ის მოტივები და ფაქტორები, რომელიც ნორვეგიას აიძულებს, ინგლისის მეგობრობა გერმანიისას ამჯობინოს. კონოვის სიტყვას პრესაცა და საზოგადოებრივი აზრიც უარყოფით შეხვდა, ვერც ერთმა მოწინააღმდეგეთაგანმა კონოვის სიტყვაში შესწორება ვერ შეიტანა და ყველანი მოითხოვდენ, რომ საჯაროთ არ გამოეთქვა თავისი აზრი.

— უფრო დიდია გერმანიის გავლენა შვეციაზე. სვენ გედინის წინამძღოლობით ერთ მყვირალა ჯგუფს ხელში უჭირავს კონსერვატორული პრესა, რომელიც გერმანიის ზე-გავლენის ქვეშ იმყოფება. ამის მიზეზია ის, რომ შვეციას რუსეთისა ეშინიან. რუსეთის პრესამა და საზოგადოებრივმა აზრმა ყველა ის ყალბი და შეუწყნარებელი ხმები, ვითომ რუსეთს სურდეს შვეციის დაპყრობა, უნდა გააქარწყლოს და პირიქით შვეციას დაუმტკიცოს რუსეთის მეგობრობა.

ცოტა არ იყოს შვეციის შოვინისტები მოტყდენ და გერმანიას უფრო სხვანაირათ უყურებენ, მას შემდეგ, რაც გერმანიამ ტყე კონტრაბანდათ გამოაცხადა, რითაც შვეციის ტყის ექსპორტს მარცხი მიაყენა და რაუმოში გერმანიამ ოთხი შვეციის გემი ჩაძირა.

რუსეთთან კონსტანტინოპოლის შეერთების შესაძლებლობა შვეციელთ ამშვიდებს, რადგანაც მათ ჰგონიათ ხმელთა შუა ზღვაში რუსეთი თავისუფალი გამოსვლით (დარდანელითა და ბოსფორით) დაკმაყოფილდება და შვეციისა და ნორვეგიის გზით ატლანტიის ოკეანეზე გამოსვლა აღარ მოუხდება. ასეთი აზრი გამოსთქვა სვენ გედის ჯგუფის წევრთაგანმა პროფესორმა ჩელენმა.

— იმედია რუსეთის საზოგადოებრივი აზრი და პრესა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა გამოარკვიოს ატეხილი გაუგებრობა და ნათელყოს რუსეთზე ყალბი შეხედულება.

პრ. ს. ა. კორფი.

## რაში ვართ დამნაშავე?!.

(წერილი სოფ. გუბიდან).

„უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილან“-ო რომ იტყვიან სწორეთ ჩვენზე და ჩვენს ვაჟების სასწავლებელზე ითქმის: ეს შვიდი წელიწადია, ამ სასწავლებელს მოევლინა ზედამხედველათ გ. ლექვინაძე, რომელსაც მასწავლებლის ოდნავ შესაფერი არც ცოდნა აქვს და არც სასწავლებლის მართვა-გამგეობის უნარი, და, რაც ყველაზე უარესია საზოგადოებასთან მუდამ ცუდ განწყობილებაშია 1910 წელში საზოგადოებამ პრიგოვორითაც კი თხოვა სამასწავლო მთავრობას, როგორც უვარგისი მასწავლებელი და ცუდი ადამიანი მოეცილებიათ ლექვინაძე, მაგრამ ის დღესაც განაგრძობს თავის „პედაგოგიურ“ მოღვაწეობას. ამ ხუთის წლის წინეთ საზოგადოებამ აირჩია აგრეწოდებული სასწავლებლის სამზრუნველო, რომელთაც, სხვათაშორის, ევალებოდა საოჯახო ხარჯების საზოგადოებაზე გაწერა და თანახმათ დანიშნულებისა ხარჯვა, რაც 1912 წლამდი სრულდებოდა. 1912 წლის მეორე ნახევარიდან სამასწავლო მთავრობამ შესცვალა ეს წესი და ფული, რასაც სასწავლებლების შესანახათ იხდიდა საზოგადოება, შედის ხაზინაში; ამის შემდეგ სასწავლებლის ზედა მხედველს ეძლევა სახარჯავათ სამასწავლო მთავრობისაგან ეს ფულები. ამავე დროს სასწავლებლის სამზრუნველოს ემართა წინა ნახევარი სამასწავლო წლის ხარჯები სხვადასხვა პირის 120 მან.

ბ-ნმა ლექვინაძემ იგდო რა საზოგადოების ფულები,—ცივი უარი სტკიცა მევალეთ ხვედრი ფულის მიცემაზე: „ეს მეორეთ უნდა გადაახდევინოთ ხალხსო“. სამზრუნველო ხომ სიახლოვესაც არ გაიკარა, (ერთი იმათგანი ხელის კვრით ჩამოაგდო სკოლის აივნიდან): თქვენ არა ხართ მთავრობისაგან დამტკიცებული, მე აქ არავითარ საზოგადოებას და მის არჩეულ პირებს არ ვსცნობ, და არც ანგარიშს გაძლევთ იმისას, თუ რაში ვხარჯავ საზოგადოების ფულებსო“.

ამ რიგად 1912 წლის მეორე ნახევარში ბ-ნმა „პედაგოგმა“ 300 მანეთი სად წაიღო დღესაც არ იცის საზოგადოებამ დადგა 1913 წელი და „პედაგოგმა“ მოიტანა სამასწავლო მთავრობის მოწერილობა სოფლის სამმართველოზე ამ წლისათვის სასწავლებლების ხარჯების გასაწერათ. ამ წელში გაიწერა იმ სასწავლებელზე, რომლის ზედამხედველიც „პედაგოგი“ ბრძანდება, 429 მანეთი, რომელშიაც შედიოდა მეორე კომპლექტისათვის სახლისა და მასწავლებლის ოთახის ქირები. ამავე წელში ავირჩიეთ ახალი სამზრუნველო სანდო და პატიოსან პირთაგან და თან ისეთები, რომლებთანაც იმდროს ლექვინაძეს კარგი განწყობილება ქონდა. არ გაუვლია სამ თვეს, რომ ახალ სამზრუნველოსთანაც უკმაყოფილება მოუვიდა ლექვინაძეს, რადგან ამათაც მოითხოვეს ანგარიშებში ჩახედვა, რაც არა სასიამოვნო აღმოჩნდა „პედაგოგისათვის“. აქაც იგივე: „არ ვცნობ არავითარ ხალხს და მათ არჩეულ პირებსო“. თუმცა ეს უკანასკნელნი სამასწავლო მთავრობისგანაც დამტკიცებულნი არიან. ამის შემდეგ საზოგადოებამ ამოირჩია ორი საპატიო პირი სოლომონ წერეთელი და ბართლომე მოსეშვილი, რომელთაც დაავალეს ეთხოვათ ბ 6 სახალხო სკოლების ინსპეკტორისათვის, რომ, როგორც უვარგისი მასწავლებელი და ცუდი ადამიანი მოეცილებია ჩვენთვის ლექვინაძე და მის ადგილზე გამოეგზავნა ვინმე მცოდნე და გამოცდილი მასწავლებელი, რომელიც შესძლებდა ყველა სასწავლებლების მართვასაც და საზოგადო საქმეებსაც ყურს უგდებდა, რაშიაც შესაფერ სასყიდელს მიიღებდა.

**მშობელთაგანი.**

(დასასრული იქნება).

## დაბა-სოფელი.

**ს. მარტვილი (ოდიში).**

გლეხის ქოხში შეიპარა კიდევ ერთი უბედურება,—ავათმყოფობა... მართლაც არა მგონია სადმე ქუთაისის გუბერნიაში ისე იყოს გავრცელებული ყვავილი, ქუნთრუშა, სახადი და კისერა, როგორც ეს სოფელ მარტვილში და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლებშია. განსაკუთრებით ყვავილმა არა ერთი და ორი ახალგაზდა, ჯანღონით სავსე ყმაწვილი იმსხვერპლა და კიდევაც იმსხვერპლებს, თუ დროზე შესაფერი ზომები არ იქნა მიღებული მის წინააღმდეგ ვისიც ჯერ არს. ხალხი ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული აცრის სარგებლიანობაში ყვავილის წინააღმდეგ და საჭიროა ფერშლებმა, აქიმმა და მასწავლებლებმა აუხსნან ფართო მასას აცრის საჭიროება... ეს ერთი მხრივ შეადგენს პირდაპირ მოვალეობას ექიმ-ფერშლებისა და მასწავლებლებისას და, ღრმად დარწმუნებული ვარ, ისინი თავის მოვალეობას არ უღალატებენ...

ფრიად საჭიროა აგრეთვე ადმინისტრაციამ და დ. მარტვილის დეპუტატებმა შესაფერი ყურადღება მიაქციონ დაბაში სისუფთავის დაცვას, ვინაიდან უსუფთაობა ქუჩებსა და სამიკიტნოებში ითვლება უმთავრეს მიზეზად სხვადასხვა ავათმყოფობის გავრცელებისა. განსაკუთრებით დაბაში და სოფელში სისუფთავეზე ზრუნვა ევალება ადმინისტრაციას და ისიც მოვალეა თავისი დანიშნულება პირნათლად შეასრულოს...

ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს მარტვილის წვრილი საკრედიტო ამხანაგობის წევრთა წლიური კრება გამგეობის წევრთა ასარჩევად და ყოფილი გამგეობისაგან წარსული წლის ანგარიშის ჩასაბარებლად... იმედია, საზოგადოება წვრილი საკრედიტო ამხანაგობისა აირჩევს ისეთ კაცებს, რომელნიც საქმით არიან დაინტერესებულნი...

მოგვიახლოვდა გაზაფხული და საჭირო შეიქნა ზრუნვა საღი აბრეშუმის ჭიის შეძენაზე... სოფლის ჩარჩები იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება, იაფ-ფასებში შეიძინონ ქუთაისში, ან ბაღდათში დაბალ ღირსების თესლი აბრეშუმის ჭიისა და მით მოატყუილონ, გაძარცონ საწყალი გლეხკაცობა უვარგისი თესლის საღ თესლთა ფასში მიჩეჩებით და მით ცეცხლზე ნავთი დაასხან სოფლელებს...

ვურჩევ სოფლის გლეხკაცობას შეუმოწმებელი თესლი არ იყიდონ არავისგან, ხოლო ვისაც ამის გარჩევა არ შეუძლია მიმართონ მცოდნე პირებს და მათი დახმარებით შეიძინონ თესლი.

**ჩი—თო.**


სპეციალური სახელოსნო
პარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).



ფეხსაცმელები ევრ. და აზიური, როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშვების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.



ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

მმ. ქორქოლაშვილის მაღაზიაში
ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.
მიღებულია
საპნის საკეთებელი სოდა ბორჯომის წყალი.
საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი აბრეშუმის თესლი.
ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის“ ქარხნის სარწყავი მანქანები.
და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.
ფასები ზომიერია.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.